ПРОЛЕТАРЕБО ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

# ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

1920 — 1978

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

☐ ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ 24 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ 1978 Წ. ☐ № 274 (17318) ☐ ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲐᲞ.

## ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘ — ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ!

### ᲞᲘᲠᲝᲑᲐᲡ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲜ

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ. („კომუნისტის“ კორ.). რესპუბლიკის ერთ-ერთი მოწინავე, ლენინის ორდენოსანი ამიერკავკასიის „მეტალურგმშენის“ № 1 სამშენებლო ტრესტის კოლექტივმა, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს საბინაო მშენებლობას, მიმდინარე მეათე ხუთწლედის მესამე დამკვრელურ წელს საიხოვრებელი ფართობის ჩაბარების ათი თვის გეგმას 1,5 პროცენტით გადააჭარბა, 24 ათას 809 კვადრატული მეტრის ნაცვლად ჩაბარებულია 25 ათას 183 კვადრატული მეტრი.

სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების იანვარ-ოქტომბრის დავალება ტრესტის კოლექტივმა 103,6 პროცენტით შეასრულა. ეს ახლა თაოდაუზოგავად იღვწიან, რათა შრომით მოპოვებული მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით დაამთავროს მიმდინარე სამეურნეო წელი.

### ᲡᲐᲮᲚᲗᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲮᲔᲚᲡᲐᲧᲠᲔᲚᲘ ᲞᲘᲠᲝᲑᲐ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. („კომუნისტის“ კორ.). ქალაქის სახლთსამშენებელი კომბინატის კოლექტივმა განვლილ ათ თვეში გათვალისწინებული 9 მილიონ 571 ათასის ნაცვლად 10 მილიონ 558 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები შეასრულეს, რითაც მოცემულ დავალებას 10,3 პროცენტით გადააჭარბეს. ამავე პერიოდში საკუთარი ძალებით შესრულებულია 10 მილიონ 245 ათასი მანეთის სამუშაოები, რაც გეგმით გათვალისწინებულს 879 ათასი მანეთით აღემატება.

იანვარ-ოქტომბერში 50 ათას 653 კვადრატული მეტრის ნაცვლად ჩაბარებულია 55 ათას 926 კვადრატული მეტრი საიხოვრებელი ფართობი, მშენებელთა მარჯვენით აშენებულ ბინებში ქალაქის მრავალმა მეცხოვრებმა იზეიმა ახალმოსახლეობა.

# ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲗᲐ ᲓᲔᲙᲚᲐᲠᲐᲪᲘᲐ

## ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲙᲝᲜᲡᲣᲚᲢᲐᲪᲘᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲖᲔ 1978 ᲬᲚᲘᲡ 23 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ

ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ სახალხო რესპუბლიკამ, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკამ, გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკამ, რუმინეთის სოციალისტურმა რესპუბლიკამ, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირმა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურმა რესპუბლიკამ, რომლებიც წარმოდგენილნი არიან ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა მოსკოვის პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირზე, 1978 წლის 22-23 ნოემბერს, განიხილეს ევროპის მდგომარეობის განვითარების აქტუალური საკითხები და ერთმანეთს გაუზიარეს აზრები მთლიანად საერთაშორისო მდგომარეობის ზოგიერთ საკითხზე.

განხილვაში ცენტრალური ადგილი დაიკავა დაძაბულობის შენელებისა და განიარაღების პროცესის განვითარებისათვის ბრძოლის შემდგომმა ღონისძიებებმა.

თათბირის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე კიდევ უფრო ძლიერდება ხალხთა, მთელი პროგრესული და მშვიდობისმოყვარე ძალების გადწყვეტილება ბოლო მოუღონ იმპერიალიზმის, კოლონიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის აგრესიულ და მჩაგვრელურ პოლიტიკას, სულ უფრო ფართოდ იშლება ბრძოლა მშვიდობისათვის, დაძაბულობის შენელებისათვის, გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის, თავისუფლებისა და სოციალური პროგრესისათვის, მშვიდობიანი თანაარსებობა საერთაშორისო თანამშრომლობისათვის ეროვნული დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის ურთიერთპატივისცემის, საშინაო საქმეებში ჩაურევლობის საფუძველზე. ამ ბრძოლაში მიღწეულია შესამჩნევი დადებითი შედეგები. გამოვლინდა და ზეგავლენას ახდენს მსოფლიო საქმეების შემდგომ განვითარებაზე საერთაშორისო დაძაბულობის შენელების ტენდენცია, რომელსაც საფუძვლად უდევს ყველა სახელმწიფოს თანასწორუფლებიანობის აღიარება და პატივისცემა.

ამავე დროს გაიზარდა იმპერიალიზმისა და რეაქციის ძალების აქტიურობა, რომლებიც ცდილობენ თავიანთ ბატონობას დაუქვემდებარონ დამოუკიდებელი სახელმწიფოები და ხალხები, აძლიერებენ გამალებულ შეიარაღებას, უხეშად ერევიან სხვა სახელმწიფოების საშინაო საქმეებში, რაც საფრთხეს უქმნის დაძაბულობის შენელების პროცესს, ეწინააღმდეგება ხალხთა მისწრაფებას მშვიდობისადმი, თავისუფლებისადმი, დამოუკიდებლობისა და პროგრესისადმი.

საერთოდ მოვლენათა განვითარებამ დაადასტურა შეფასება, რომელიც ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებმა მისცეს 1976 წელს ბუქარესტში გამართულ პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირზე მიღებულ თავის დეკლარაციაში „საერთაშორისო დაძაბულობის შენელებაში ახალი მიჯნების მიღწევისათვის, ევროპის უშიშროების განმტკიცებისა და თანამშრომლობის განვითარებისათვის“.

### I.

თათბირის მონაწილეებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს ევროპის უშიშროების განმტკიცებისა და თანამშრომლობის განვითარების საკითხებს. მათ აღნიშნეს, რომ ევროპის კონტინენტზე მოხდა მნიშვნელოვანი დადებითი ცვლილებანი. ამას ხელი შეუწყო კონტინენტის სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის განვითარებამ იმ პრინციპებს სულისკვეთებით, რომლებიც ჩამოყალიბებულია ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის საბოლოო აქტში, ევროპის სახელმწიფოთა შორის არსებული საზღვრების და მათი ურღვევობის საყოველთაო ცნობამ, რასაც ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო უშიშროებისათვის. ევროპის სახელმწიფოთა ურთიერთობის გაუმჯობესების გზაზე არსებითი დაბრკოლებების დაძლევამ ხელი შეუწყო იმას, რომ ამ ურთიერთობებს უფრო მშვიდი ხასიათი მიეღო, შევსებულიყო უფრო მდიდარი და მრავალმხრივი შინაარსით, ხელი შეეწყო ხალხთა შორის ურთიერთგაგების გაფართოებისათვის.

ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის დამთავრების შემდეგ განვლილ დროში გაწეულია სახარგებლო მუშაობა თათბირზე შემუშავებული პრინციპებისა და მორიგებების რეალიზაციისათვის, კარგი დასაბამი მიეცა ამ საქმეს. ცხოვრებამ დადასტურა, რომ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის გრძელვადიანი პროგრამა, რომელსაც ხორცი შეესხა სრულიად ევროპის თათბირის საბოლოო აქტით, სწორად განსაზღვრავს დადებითი მოქმედების მთავარ მიმართულებებს მშვიდობის ინტერესებისათვის, სახავს ასეთი მოქმედების საიმედო ორიენტირებს.

ჰელსინკში მიღებულ მორიგებათა შესრულების დროს სულ უფრო ხშირად იმართება სრულიად ევროპის თათბირის მონაწილე სახელმწიფოთა ხელმძღვანელების შეხვედრები, რომლებიც ხელს უწყობენ თანასწორუფლებიანი ურთიერთხელსაყრელი საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას, მათ შორის გრძელვადიან საფუძველზე.

საგრძნობლად უფრო მკვრივი გახდა ევროპის სახელმწიფოთა პოლიტიკური კონტაქტების ქსოვილი, გაუმჯობესდა მათ მიერ ერთმანეთის პოზიციებს, შეხედულებებისა და კანონიერი ინტერესების გაგება, რაშიც მნიშვნელოვან სახარგებლო როლს ასრულებს ორმხრივი ურთიერთობის გაფართოებაც. გამოვლინდა მათ შორის ურთიერთხელსაყრელი ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის ახალი შესაძლებლობანი, განსაკუთრებით სამრეწველო კოოპერაციის დარგში, დაისახა ამ შესაძლებლობათა რეალიზაციის გარკვეული პრაქტიკული ღონისძიებანი. წარმოებს მზადება გარემოს დაცვის საკითხებზე სრულიად ევროპის კონგრესის მოწვევისათვის, შესაბამისი ფორუმები შეუდგენენ ტრანსპორტის, ენერგეტიკისა და მთელ რიგ სხვა დარგებში თანამშრომლობისათვის ანალოგიური შეხვედრების მოწყობის საკითხის განხილვას. გაფართოვდა, უფრო გამდიდრდა და მრავალფეროვანი გახდა შინაარსით კულტურული გაცვლა, კიდევ უფრო განვითარდა კონტაქტები სხვა ჰუმანიტარულ დარგებში.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ სრულიად ევროპის თათბირის ყველა მონაწილემ ბელგრადის შეხვედრაზე დადასტურა, რომ მზად არის განაგრძოს თათბირის მიერ დაწყებული პროცესი, თუმცა პრაქტიკული ხასიათის მთელ რიგ არსებით კონსტრუქცი-

(ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲛᲔ-2 ᲒᲕ.)

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲗᲐ ᲓᲔᲙᲚᲐᲠᲐᲪᲘᲐᲡ ᲮᲔᲚᲘ ᲐᲬᲔᲠᲡ ᲡᲙᲙ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ, ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ-ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲘ Ლ. Ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘ.

ᲡᲐᲥᲓᲡ-ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

# ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒ Ლ. Ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘᲡ ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲝᲕᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲐ ᲒᲐᲓᲐᲔᲪᲐ

**23 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ** კრემლში ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ტ. ჟივკოვმა ხელი ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევს გადასცა დიმიტროვის პრემიის ლაურეატის დიპლომი და ოქროს მედალი. ამხანაგ ბრეჟნევს ეს მაღალი ჯილდო მიენიჭა მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესის მხარდასაჭერად საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სამეცნიერო და შემოქმედებითი საქმიანობისათვის.

ჯილდოს გადაცემისას გამოვიდა ამხანაგი ტ. ჟივკოვი.

## ტ. ᲥᲘᲕᲙᲝᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ

ძვირფასო ამხანაგო ბრეჟნევ!

სახარულითა და უდიდესი მოღვაწეობით ვასრულებ ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სპეციალურ დავალებას და გადმოგიცემთ დიმიტროვის პრემიას მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის.

ვფიქრობთ, არ გაგიკვირვებია გაგვესაზღვრა სახელი ადამისა, რომელიც პირველი იქნებოდა დიმიტროვის პრემიის წლევანდელ ლაურეატთა სიაში. თქვენს დაჯილდოებასთან დაკავშირებით ქეიფის როლს, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, სოციალისტური ბულგარეთის მთელი ხალხი ასრულებდა.

ჩვენი ხალხის აზრით, არ არის სხვა პოლიტიკური მოღვაწე, რომელსაც მეტი დამსახურება მიუძღვიოდეს ხალხთა მშვიდობის, უშიშროებისა და თანამშრომლობის განმტკიცების საქმეში, ვიდრე თქვენ მიგიძღვით, ლეონიდ ილიას ძე.

ჩვენ ვეხოვრობთ რთულ, დინამიკურ და შფოთიან ხანაში, რომელშიც კაცობრიობის პროგრესისა და ნამდვილი ჰუმანიზმის პრინციპების დამკვიდრების ყველაზე გამოჩენილი და საყოველთაოდ აღიარებული ქომაგნი არიან საბჭოთა კავშირის პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელობა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

პატივცემულო ლეონიდ ილიას ძეო!

თქვენ იცით, თუ რას ნიშნავს გიორგი დიმიტროვის სახელი ბულგარელი კომუნისტებისათვის, ბულგარელი ხალხისათვის, თანამედროვე ბულგარეთისათვის. ეს სახელი ყოველივე იმ საუკეთესოსა და გმირულის უმაღლესი გამოხატულებაა, რაც ჩვენ მოვეცით მსოფლიოს ოქტომბრულ რევოლუციურ მოცეს საუკუნეში.

სამ ათეულ წელზე მეტი ხნის წინათ კრემლის ამავე დარბაზში ლაიფციგის გმირმა, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა აღმართა ფაშიზმისა და ომის წინააღმდეგ ბრძოლის დროშა, ლენინის ორდენი მიიღო. ამ ორდენით მაღერდამშვენებული დაუბრუნდა იგი განთავისუფლებულ სამშობლოს და სათავეში ჩაუდგა მის სოციალისტურ აღზევებას. მას შთაგონებდა ამ აღზევების წინამძღვარი — ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მარადიული და ცხოველმყოფელი მეგობრობა.

სწორედ ამიტომ ჩვენ, ბულგარელებს, უზომოდ გვიხარია, რომ გიორგი დიმიტროვის სახელობის პრემიას იღებთ თქვენ. იგი მსოფლიო სოციალიზმის თეორიასა და პრაქტიკაში, სოციალისტური თანამეგობრობის ერთიანობის დამკვიდრებაში, თანამედროვე ეპოქის განვითარებაზე მისი გავლენის მანუწყველელ ზრდაში თქვენი ფასდაუდებელი აღიარებაა.

ყველაფერი ის, რაც თქვენ გაკეთეთ, როგორც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელმა, უშუალოდ გაკავშირებთ ლენინის საქმესთან და გიორგი დიმიტროვის ანდერძთან — განვამტკიცოთ საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობა, მივიღწიოთ შემდგომ წარმატებას თავისუფლებისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესისათვის ხალხთა ბრძოლაში, საკადრისი პასუხი გავცეთ იმპერიალიზმსა და ნეოკოლონიალიზმს, შეურიგებლად ვებრძოლოთ რეაქციისა და ომის შავბნელ ძალებს.

ძვირფასო ამხანაგო ბრეჟნევ!

წლითიწლობით სულ უფრო იზრდება საბჭოთა კავშირის მიმზიდველი ძალა, მისი ძლიერება და ავტორიტეტი. საბჭოთა ხალხთან ერთად ჩვენც ღიდად ვიფასებთ თქვენს წვლილს, როგორც კომუნისტისა და ხელმძღვანელისა, რომელმაც თავისი ცხოვრება თავისი ქვეყნის ცხოვრებას დაუკავშირა. საბჭოთა კავშირის ყოველ წარმატებაში ჩაქსოვილია თქვენი თავდადებული ტალანტი, თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწის აზრი და ენერგია. ახალი მსოფლიო ომის თავიდან აცილებაში მთავარი დამსახურება უჭირავ მეოთხე ათეული წელია საბჭოთა კავშირს მიუძღვის, და ალბათ ეს ასეა კარგად იცის, როგორია თქვენი პირადი წვლილი სიკეთის მოსესელ ეკონომიკაში ხალხი ალბათ ამ გამარჯვებაში.

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲒᲕ-3 ᲒᲕ.)

# ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲗᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲙᲝᲜᲡᲣᲚᲢᲐᲪᲘᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘᲡ

# ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲙᲔ

**1978 ᲬᲚᲘᲡ** 22-23 ნოემბერს მოსკოვში გაიმართა მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირი.

თათბირში მონაწილეობდნენ:

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისაგან — ტოდორ ჟივკოვი — ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე, დელეგაციის მეთაური; სტანკო ტოდოროვი — ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე; პეტრე მლადენოვი — ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი; დიმიტრ სტანიშევი — ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი; მილკო ბალევი — ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის კაბინეტის უფროსი;

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისაგან — ერიხ ჰონეკერი — გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე, დელეგაციის მეთაური; ვილი შტოფი — გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე; გერმან აქსენი — გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი; გიუნტერ მიტაგი — გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი; ოსკარ ფიშერი — გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი; ჰერბერტ კროლიკოუსკი — გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე; ეგონ ვინკელმანი — გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების გამგე; ვერნერ ებერლაინი — გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტიული ორგანოების განყოფილების გამგის მოადგილე;

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისაგან — ედვარდ გიერეკი — პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, დელეგაციის მეთაური; პეტრე იაროშევიჩი — პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე; ედვარდ ბაბიუხი — პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი; რიშარდ ფრელეკი — პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი; ემილ ვოიტაშეკი — პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი;

რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკისაგან — ნიკოლაე ჩაუშესკუ — რუმინეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი, დელეგაციის მეთაური; მანია მენესკუ — რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტაღმასკომის წევრი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ-მინისტრი; შტეფან ანდრეი — რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტაღმასკომის წევრობის კანდიდატი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი; ვასილე მუშატი — რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი;

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისაგან — ლ. ი. ბრეჟნევი — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, დელეგაციის მეთაური; ა. ნ. კოსიგინი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევ-

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲛᲔ-3 ᲒᲕ.)

# ᲒᲣᲚᲗᲑᲘᲚᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ

## ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲩᲐᲛᲝᲤᲘᲓᲐ ᲛᲔᲜᲒᲘᲡᲢᲣ ᲯᲐᲘᲚᲘ ᲛᲐᲠᲘᲐᲛᲘ

**ᲫᲛᲣᲠᲐᲓ,** გულთბილად და გულითადად შეხვდა საქართველოს დედაქალაქი 23 ნოემბერს სოციალისტური ეთიოპიის დროებითი სამხედრო ადმინისტრაციული საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს პოდპოლკოვნიკ მენგისტუ ჰაილე მარიამს.

აეროდრომისკენ მიმავალი ქუჩები და მოედნები მოროთულია სოციალისტური ეთიოპიის, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ალმებით, მისასალმებელი ტრანსპარანტებით.

აეროდრომზე შეიკრიბნენ თბილისის მშრომელთა წარმომადგენლები, რომლებსაც პატარა ალმები და ყვავილები ჰქონდათ ხელში.

აეროდრომზე ჯდება ტაშკენტიდან მომავალი საპაერო ლაინერი, თვითმფრინავის კიბესთან მენგისტუ ჰაილე მარიამს გულთბილად მიესალმნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ვ. გელაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზ. ა. პატარიძე.

საპატიო სტუმარს დახვდნენ თ. ნ. მენთეშაშვილი, ვ. მ. სირაძე, ზ. ა. ჩხეიძე, ო. ე. ჩერქეზია, ნ. ა. ჭითანავა, ს. ე. ხაბეიშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს, რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკები.

აეროდრომიდან მენგისტუ ჰაილე მარიამი და რესპუბლიკის ხელმძღვანელები მოტოციკლისტთა საპატიო ესკორტის თანხლებით ქალაქში გაემგზავრნენ.

მენგისტუ ჰაილე მარიამს მოგზაურობის დროს ახლავან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ა. ე. პოლეაკოვი და სხვა ოფიციალური პირნი. (საქინფორმი).

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲐᲔᲠᲝ�პᲝᲠᲢᲨᲘ.

Ი. ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ Ვ. ᲩᲘᲠᲩᲘᲜᲪᲔᲕᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

# ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის სახელმწიფოთა დეკლარაცია

ეროვნული ბიბლიოთეკა

(გაგრძელება)

ულ წინადადებებზე, მათ შორის უშიშროების სამხედრო ასპექტების შესახებ, თანხმობას შეხვედრაზე ვერ მიაღწიეს, ევროპის თანამშრომლობის განვითარებაში სასარგებლო წვლილი უნდა იყოს ბელგრადის შეხვედრაზე შეთანხმებული მრავალმხრივი ღონისძიებანი კონკრეტულ საკითხებზე: ექსპერტთა თათბირები დავის მშვიდობიანი მოწესრიგების ურთიერთმისაღები მეთოდის შემუშავების, სრულიად ევროპის სამეცნიერო ფორუმის შესახებ, ექსპერტთა თათბირები ხმელთაშუაზღვის რაიონში ეკონომიკური, მეცნიერულ-ტექნიკური და კულტურული თანამშრომლობის საკითხებზე. დადებითი მნიშვნელობა აქვს შეთანხმებას 1980 წელს მადრიდში, სრულიად ევროპის თათბირის მიერ დაწყებული მრავალმხრივი პროცესის ფარგლებში, თათბირის მონაწილე სახელმწიფოთა წარმომადგენლების მორიგი შეხვედრის მოწყობის შესახებ. კონტინენტის ხალხები მოელიან, რომ მადრიდის შეხვედრა პრაქტიკულად წინ წასწევს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის საქმეს, და განსაკუთრებით შეუწყობს ხელს პროგრესს სამხედრო დაძაბულობის შენელებისა და განიარაღების დარგში. თათბირზე წარმოდგენილი სოციალისტური ქვეყნები აცხადებენ, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი თავიანთი წვლილი შეიტანონ ამ შეხვედრაში.

მაგრამ თავიდანვე ცხადი იყო, რომ სრულიად ევროპის თათბირის მიერ გაკვალული გზით მტკიცე წინსვლა, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცება, რეალური გახდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყველა სახელმწიფო თანამიმდევრულად იმოქმედებს ამ მიმართულებით.

სამწუხაროდ, მოვლენები მთლიანად ასე როდი ვითარდებოდა. აშკარად ირღვევა სახელმწიფოთა ურთიერთობის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები, იერიოზული საფრთხე ექმნება მშვიდობასა და საერთაშორისო უშიშროებას, ხალხთა თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას. ცდილობენ შეაჩერონ საერთაშორისო ურთიერთობის გაუმჯობესების პროცესი და იგი საწინააღმდეგო მიმართულებითაც კი შეაბრუნონ. ევროპისა და შეიარაღების ზრდა ევროპის კონტინენტზე არ შეჩერებულა და გრძელდება, ჯერ კიდევ მიღწეული არ არის რაიმე ეფექტიანი მორიგებანი სამხედრო დაძაბულობის შენელებისა და განიარაღების დარგში, რაც საფრთხეს უქმნის ევროპის უშიშროების განმტკიცების პროცესის განვითარებას. აღმოფხვრილი არ არის, ხოლო ზოგიერთი მიმართულებით გაიზარდა კიდეც დაბრკოლებანი ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის გზაზე, წარმოიმზარდა ფული. პოლიტიკური კამპანიები სოციალისტური ქვეყნების, კომუნისტური და მუშათა პარტიების, სხვა პროგრესული დემოკრატიული ძალების წინააღმდეგ.

მტკიცე მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროებისათვის ძნელ ბრძოლაში ხალხთა მიერ მოპოვებულ პოზიციებზე იმპერიალისტური და რეაქციული ძალების შეტევა ისახავს აგრესიის, რევანშიზმისა და პეგემონიზმის მიზნებს. პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირზე წარმოდგენილ სახელმწიფოებს საჭიროდ მიაჩნიათ მთელი მშვიდობისმოყვარე ძალების ყურადღება მიაპყრონ იმას, რომ ყოველივე ეს სერიოზულ ზიანს აყენებს მშვიდობის, უშიშროების განმტკიცების და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების საქმეს.

საერთაშორისო ვითარების გასართულებლად იმპერიალისტური და რეაქციული ძალების საქმიანობას არ შეიძლება მტკიცე წინააღმდეგობას არ უწევდეს ყველა, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობის ინტერესები, ხალხთა მშვიდი ცხოვრება და შრომა, ყველა, ვისაც ჩვენი დროის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად იმის საფრთხის აღკვეთა მიაჩნია.

პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირის მონაწილე სახელმწიფოები, რომლებიც დარწმუნებული არიან, რომ მშვიდობისა და პროგრესის სულ უფრო მზარდ ძალებს შეუძლიათ ახალ დიდმნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიონ ხალხთა მშვიდობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში, აცხადებენ, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი, სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოებთან, მთელ პროგრესულ და დემოკრატიულ ძალებთან, ხალხთა ფართო მასებთან ერთად, ახალი იმპულსი მიანიჭონ ჰელსინკის საბოლოო აქტის როგორც ერთი მთლიანის განხორციელებას, შეთანხმდნენ ევროპის კონფერენციებზე და მთელ მსოფლიოში თანაბარუფლებიანი განვითარებისა და ნამდვილი უშიშროების მიღწევის კონკრეტული ღონისძიებების შესახებ. ისინი მზად არიან აბრეშუმივ უაღრესად აქტიურად და ენერგიულად მიიღონ მონაწილეობა უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო პროგლემების გადაწყვეტაში.

## II.

მშვიდობასა და საერთაშორისო უშიშროებას, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, ხალხთა დამოუკიდებლობას, მათს ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას მოავარ საფრთხეს უქმნის გამალებული შეიარაღების განგრძობა და გაძლიერება, მისი ტემპებისა და მასშტაბების ზრდა.

გამალებული შეიარაღების გაძლიერებას, რომლისთვისაც პასუხისმგებლობა იმპერიალიზმის ყველაზე აგრესიულ წრეებს ეკისრებათ, გამოხატავს ნატოს ხაბჭოს ვაშინგტონის ხელისაზე მიღებული გადაწყვეტილება ისეთიც გაბერილი სამხედრო ბიუჯეტების გადამეტებით სამხედრო მიზნებისათვის ვათვალისწინებულ ასიგნებათა მრავალი ათეული მილიარდი დოლარით გადიდების შესახებ, ახალი ათწლეულებისათვის განსაზღვრული პროგრამები, რომლებიც ოთვალისწინებენ თავიანთი შეიარაღებული ძალების გაძლიერებას სულ უფრო დამანგრეველ სახეობათა მასობრივი მოსპობის იარაღით მათს ხელახლა აღჭურვას. ეს გადაწყვეტილებანი, რომლებიც გამალებული შეიარაღების გაძლიერებას იწვევს, ისევე როგორც ნატოს ყველა სხვა მოქმედება, რომლებსაც სამხედრო დემონსტრაციების ხასიათი აქვს, მიზნად ისახავენ ნატოს ქვეყნებს სამხედრო უპირატესობის მოღწევას სოციალისტურ და მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან შედარებით იმ ვარაუდით, რომ თავიანთი ნება უკარნახონ დამოუკიდებელ სახელმწიფოებს, ჩაახშონ ხალხთა ბრძოლა ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის.

ეს ღონისძიებანი სრულიად ეწინააღმდეგება ჰელსინკის საბოლოო აქტის დებულებებს, ისინი ახალ დაბრკოლებებს ქმნიან ევროპის სახელმწიფოთა და ხალხთა შორის ურთიერთგაგებისა და მშვიდობიანი თანამშრომლობის გზაზე. მშვიდობის ინტერესები მოითხოვს, რომ ნატოს წევრმა ქვეყნებმა უარი თქვან მიღებულ გადაწყვეტილებებზე, დაადგნენ განიარაღების, მშვიდობის კლიმატის შექმნის სრულიად ევროპის თათბირის მონაწილე ყველა სახელმწიფოს შორის ურთიერთგაგებისა და ნდობის გზას.

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სოციალისტური ქვეყნები მტკიცედ გამოდიან გამალებული შეიარაღების გაძლიერების პოლიტიკის წინააღმდეგ სამხედრო შანტაჟის ცდების წინააღმდეგ. ისინი კვლავ აცხადებენ, რომ თვითონ არასოდეს არ ესწრაფვოდნენ და არც ესწრაფვიან სამხედრო უპირატესობას: მათი სამხედრო ღონისძიებების მიზანი კვლავინდებურად მხოლოდ თავიანთი თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფაა. ისინი იმით ხელმძღვანელობენ, რომ ევროპასა და მსოფლიოში სამხედრო წონასწორობას უნდა იცავდეს არა შეიარაღების გაძლიერება, არამედ მისი შემცირება. მტკიცე გადასვლა განიარაღების, განსაკუთრებით ბირთვული განიარაღების კონკრეტულ ღონისძიებებზე. გამალებული შეიარაღების შემდგომ გაძლიერებას. მისი მასშტაბის გაფართოებას, შეიარაღების სისტემებსა შემდგომ სრულყოფას შეიძლება სულ უფრო საშიში შედეგები მოჰყვეს ხალხებისათვის.

ამის შესაბამისად პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირზე წარმოდგენილ სახელმწიფოებს მიაჩნიათ, რომ ახლანდელ პირობებში საერთაშორისო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა უზრუნველყოს უსწრაფესი გადაწყვეტილი გარდამტეხა გამალებული შეიარაღების შეწყვეტისა და განიარაღების შესახებ მოლაპარაკებაზე. ამას მოითხოვს ხალხთა, მთელი კაცობრიობის, ცივილიზაციის ძირეული ინტერესები. ისინი ამაყოფილებით აღნიშნავენ, რომ ამ თვალსაზრისს ახლა ფართოდ იზიარებენ ყველგან მთელ მსოფლიოში. ბევრი ქვეყნის პოლიტიკური მოღვაწეები, ფართო საზოგადოებრივი წრეები, უბრალო ადამიანები სულ უფრო მტკიცედ იბრძვიან გამალებული შეიარაღების ახალი გაძლიერების წინააღმდეგ, რომელიც საფრთხეს უქმნის ხალხებს, სახელმწიფოთა მშვიდობასა და უშიშროებას, განიარაღების ეფექტიანი ღონისძიებების განხორციელებისათვის.

გამალებული შეიარაღების პირობებში ფერხდება ყველა სახელმწიფოს ეკონომიკური და სოციალური პროგრესი, ძნელდება ხალხებისა და სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამშრომლობა, სულ უფრო მნიშვნელოვანი დაბრკოლებები ექმნება ქვეყნების ეკონომიკური განვითარების დონეთა განსხვავების დაძლევას, სხვა გლობალური პრობლემების გადაწყვეტას, რომლებზეც დამოკიდებულია კაცობრიობის მომავალი.

შეუძლებელია სტაბილური მშვიდობა ისეთ პირობებში, როცა ხახელმწიფოთა არსებობენ სწრაფად იზრდება მოსპობის პოტენციალი, რომელიც უკვე ახლა საკმარისია იმისათვის, რომ, მისი ამოქმედების შემთხვევაში, ხაეკვო გახდეს ადამიანის სიცოცხლე დედამიწაზე. გამალებული შეიარაღება სულ უფრო ხერიოზულ ზარალს აყენებს დაძაბულობის შენელების პროცესს.

გამალებული შეიარაღების დაუყოვნებლივ შეწყვეტა იმისთვისაც არის საჭირო, რომ სამხედრო ტექნიკის სწრაფმა განვითარებამ, განსაკუთრებით ახალ სახეობათა და სისტემათა მასობრივი მოსპობის იარაღის შექმნა შესაძლებლობამ შეიძლება კიდევ უფრო გაართულოს განიარაღების საკითხების პრაქტიკულ გადაწყვეტათა ძიება და მიღწევა.

ხალხებს სჭირდებათ არა ახალი რაკეტულ-ბირთვული სისტემების, ბალისტიკური რაკეტებით აღჭურვილი ახალი წყალქვეშა ნავების, არა ფრთოსანი რაკეტების შექმნა, არამედ ყველა სახეობის ბირთვული იარაღის წარმოების სრული შეწყვეტა და ბირთვული ენერგიის მშვიდობიანი მიზნით გამოყენება.

კაცობრიობის მისწრაფებებს შეესაბამება არა უკვე არსებულ სახეობათა მასობრივი მოსპობის იარაღის სრულყოფა და არა ახალი იარაღის, კერძოდ, ნეიტრონული იარაღის შემუშავება, არამედ ყველა სახეობის ასეთი იარაღის წარმოების შეწყვეტა და აკრძალვა.

ხალხებს სჭირდებათ არა ჩვეულებრივი შეიარაღების შემდგომი განვითარება და სრულყოფა, მისთვის სულ უფრო დამანგრეველი ძალის მინიჭება, არამედ არსებული შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების შემცირება რომელიმე სახელმწიფოს უშიშროებისათვის ზიანის მიუყენებლად, საამხედრო დაძაბულობის შენელებისა და განიარაღების ეფექტიან ღონისძიებებზე გადასვლა.

პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირზე წარმოდგენილი სოციალისტური ქვეყნები მტკიცედ მოითხოვენ, რომ ყველა ამ მიმართულებით განხორციელდეს ისეთი ეფექტიანი ღონისძიებანი, რომლებიც შეაჩერებენ სახელმწიფოების, უწინარეს ყოვლისა, დიდი სამხედრო პოტენციალის მქონე სახელმწიფოების სამხედრო პოტენციალის ზრდას, უზრუნველყოფენ რეალურ განიარაღებას.

გამალებული შეიარაღების შეწყვეტისა და განიარაღების პრობლემების მთელი კომპლექსის შესახებ წინადადებანი შეტანილია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სპეციალურ სესიაზე ამა წლის ზაფხულში და გენერალური ასამბლეის მომდინარე სესიაზე.

ამ მხრივ უპირველესი ამოცანაა დავიწყოთ მოლაპარაკება ყველა სახეობის ბირთვული იარაღის წარმოების შეწყვეტისა და მისი მარაგის თანდათანობით შემცირების, შემდეგ კი სრული ლიკვიდაციის შესახებ. ამის პარალელურად უნდა ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ საშუალმდე აიკრძალოს ბირთვული იარაღის გამოყენება და ყველა სახელმწიფომ უარი თქვას ერთმანეთის მიმართ ძალის გამოყენებაზე. ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნები ბჭარს უმერენ ამგვარ წინადადებებს, რომლებიც საბჭოთა კავშირმა და სხვა სოციალისტურმა ქვეყნებმა წამოაყენეს. ისინი მოითხოვენ, რომ გაუჯიანურებლად შეთანხმდნენ და დაიწყონ ამ საკითხებზე მოლაპარაკება ყველა ბირთვული სახელმწიფოს, და არა მარტო ამ სახელმწიფოების მონაწილეობით, რაც უფრო მალე განისაზღვრება ასეთი მოლაპარაკების თარიღი, მით უკეთესია.

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნები მნიშვნელობას ანიჭებენ სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის მორიგების მიღწევას სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ. მათი აზრით, დიდი მნიშვნელობა ექნებოდა სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ მეორე შეთანხმების დადების თვალსაზრისს საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკების ფარგლებში ამის თანმიმდევრული განხორციელებისა და გადასვლას მისი შემცირების შესახებ ახალ შეთანხმებათა დადებაზე, რასაც სხვა ბირთვული სახელმწიფოებიც უნდა შეუერთდნენ.

სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შემცირებაში პროგრესის მიღწევა ხელს შეუწყობდა მსოფლიოში სამხედრო კონფრონტაციის დონის შემცირებას. დაძაბულობის შენელების, მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების კურსის განმტკიცებას. ხალხები მიესალმებიან მოყვანთა ასეთ განვითარებას.

პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირზე წარმოდგენილი სახელმწიფოები მოითხოვენ, რომ რაც შეიძლება სწრაფად დამთავრდეს მოლაპარაკებანი, რომლებიც მიმდინარეობს აგრეთვე გამალებული შეიარაღების შეზღუდვისა და შეწყვეტის ისეთი ასპექტების შესახებ, როგორიც არის: ბირთვული იარაღის გამოცდის სრული და საყოველთაო აკრძალვა; ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის რეჟიმის განმტკიცება ისეთ პირობებში, როცა ყველა სახელმწიფოს სრულიად უდანაკლოდ შესაძლებლობა ექნება მშვიდობიანი მიზნებისათვის გამოიყენოს ბირთვული ენერგია და ბირთვული ტექნოლოგია ეფექტიანი საერთაშორისო კონტროლის პირობებში ატომური ენერგიის საერთაშორისო საგანგებო ნორმების შესაბამისად; ახალ სახეობათა და სისტემათა მასობრივი მოსპობის იარაღის შექმნის აკრძალვა; ქიმიური იარაღის აკრძალვა და ლიკვიდაცია; ინდოეთის ოკეანეში სამხედრო ნაოსნობის შეზღუდვა და შემდეგ შეჩერება; ჩვეულებრივი შეიარაღების გაყვანისა და მიწოდების შეზღუდვა.

მოლაპარაკების თითოეულ ამ მიმართულებას თავისი მნიშვნელობა აქვს ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების თვალსაზრისით. ისინი ყველა მეტნაკლებად წინწაწეულ სტადიაშია, როცა შეთანხმების განხილვისა და ძიების საგანი უკვე ზოგადი იდეები კი არა, უშუალოდ სამხედრო-მატერიალური ხასიათის საკითხებია. სოციალისტურმა სახელმწიფოებმა, რომლებიც შესაბამის მოლაპარაკებებში მონაწილეობენ, დიდი კონსტრუქციული წვლილი შეიტანეს და შეაქვთ მის პროგრესში, იჩენენ ინიციატივებს, რომლებიც ხელს უწყობენ დაბრკოლებათა დაძლევას. ისინი მზად არიან კვლავაც ასეთი სულისკვეთებით იმოქმედონ მოლაპარაკების წარმატების ინტერესებისათვის. მაგრამ სრულიად ცხადი უნდა იყოს, რომ პრაქტიკულ შეთანხმებათა მიღწევა მოლაპარაკების ყველა მონაწილის კონსტრუქციულ მიდგომას მოითხოვს.

გამალებული შეიარაღების შეწყვეტის ერთ-ერთ ყველაზე ეფექტიანი და პრაქტიკული გზა — ეს არის სამხედრო ბიუჯეტების, უწინარეს ყოვლისა, იმ სახელმწიფოთა სამხედრო ბიუჯეტების შემცირება, რომლებსაც დიდი ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალი აქვთ. სოციალისტური ქვეყნები მზად არიან მორიგდნენ ამ დიდი ამოცანის გადაწყვეტის შესახებ, სამხედრო ბიუჯეტების შემცირების შესახებ, იქნება ეს თანაბარი წილით, პროცენტობით, თუ ერთნაირ სიდიდეთა აბსოლუტური გამოხატულებით. მათს წინადადებებს ამის თაობაზე ახლოვეს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, მაგ შორის წინადადებას, რომ გაიყვინოს სამხედრო ბიუჯეტები მათს ახლანდელ დონეზე და დაუყოვნებლივ დაიწყოს მათი შემცირება.

ამ ღონისძიების განხორციელება არა მარტო გარკვეულ ზღვარს დაუდებს გამალებულ შეიარაღებას, არამედ დიდ სახსრებსაც გაანთავისუფლებს მშვიდობიანი მიზნებისათვის — მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, მეცნიერების, კულტურისა და განათლების განვითარებისათვის, განვითარებადი ქვეყნებისადმი დახმარების გადიდებისათვის, მათი ეკონომიკური და სოციალური განვითარების დაჩქარების ინტერესებისათვის, ეარემოს დაცვისათვის. ეს საგრძნობი მოგება იქნებოდა განიარაღების საქმისათვის, ხალხთა კეთილდღეობისათვის.

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სოციალისტური ქვეყნები, როგორც ევროპის სახელმწიფოები, ბუნებრივია, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ ევროპაში სამხედრო დაძაბულობის შენელების და განიარაღების საკითხებს.

ისინი ადასტურებენ, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი იბრძოლონ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის ხაბოლოო აქტის იმ ცნობიერი დებულების შესრულებისათვის, რომ საჭიროა განხორციელდეს ეფექტიანი ღონისძიებანი სამხედრო კონფრონტაციის შემცირებისა და განიარაღების ხელშეწყობისათვის, რომლებმაც უნდა შეაჩერონ პოლიტიკური დაძაბულობის შენელება და განმტკიცოს ევროპის უშიშროება.

ისინი ყოველნაირად ცდილობენ ხელი შეუწყონ ცენტრალურ ევროპაში შეიარაღების ძალებისა და შეიარაღების ურთიერთშემცირების შესახებ მოლაპარაკების წარმატებას და ამ მიზნით ბევრჯერ წამოაყენეს მოლაპარაკების დროს კონსტრუქციული წინადადებანი ძირითადი საკითხების გადაწყვეტის გზების შესახებ, რომლებიც განხილვის საგანს წარმოადგენს. მათი ახალი დიდი ღონისძიება, რომლის მიზანია მოლაპარაკებაზე გადამწყვეტი პროგრესის მიღწევა, — ეს არის 1978 წლის 8 ივნისის წინადადება, რომელიც განხილველი პრობლემების მთელ კომპლექსს მოიცავს და უზრუნველყოფს ორი მხარის შეიარაღებული ძალების თანასწორობას შემცირების რაიონში იმ პირობით, რომ არსებითად შემცირდეს მათი დონეები ახლანდელთან შედარებით. მაგრამ საქმე ადგილიდან მხოლოდ მაშინ დაიძვრება, თუ მეორე მხარის პასუხიც კონსტრუქციული სულისკვეთებით იქნება გამსჭვალული.

თათბირის მონაწილენი ყოველ დონეს იხმარენ აგრეთვე იმისათვის, რომ სამხედრო დაძაბულობის შენელებისა და ევროპაში განიარაღების ხელშეწყობის საკითხები განიხილონ ევროპის უშიშროების საერთო ფარგლებში ჰელსინკის საბოლოო აქტის ხელმომწერი ყველა სახელმწიფოს მონაწილეობით.

იქნება ეს ევროპის თუ მთელი მსოფლიოს მასშტაბით, ცალკეულ რაიონებთან თუ მთელ პლანეტასთან შეფარდებით, ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სოციალისტური სახელმწიფოები ზზად არიან აწარმოონ მოლაპარაკება გამალებული შეიარაღების შეწყვეტის პრობლემის ყველა ასპექტის, მათ შორის იმ ასპექტების შესახებ, რომელთა გამო მოლაპარაკება ჯერ არ მიმდინარეობს. ეს შეეხება, მაგალითად, ევროპაში ორივე მხარის საბრძოლო პოტენციალების იმ კომპონენტების შეზღუდვისა და შემცირების საკითხს, რომლებიც ამჟამად თითოეული ამ მხარის შეშფოთებას იწვევს.

არ არსებობს ისეთი სახეობის იარაღი, რომ თათბირზე წარმოდგენილი სოციალისტური სახელმწიფოები მზად არ იყვნენ შეზღუდონ ან შეამცირონ იგი იმ პრინციპის ზუსტად დაცვის საფუძველზე, რომ ზიანი არ მიაყენონ რომელიმე ქვეყნის უშიშროებას. ისინი მზად არიან უაღრესად ყურადღებით განიხილონ აგრეთვე სხვა სახელმწიფოების წინადადებანიც სამხედრო დაძაბულობის შენელებისა და განიარაღების საკითხებზე.

პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირზე წარმოდგენილ სახელმწიფოებს, რომლებიც აცხადებენ, რომ ისწრაფვიან კვლავაც ყველაფერი იღონონ სხვა სახელმწიფოებთან ერთად გამალებული შეიარაღების შეწყვეტისა და განიარაღების საკითხების წარმატებით გადაწყვეტისთვის, საჭიროდ მიაჩნიათ ხაზი გაუსვან სახელმწიფოთა ურთიერთობაში ნდობის მნიშვნელობას. ისინი მტკიცედ იბრძვიან იმისათვის, რომ ზუსტად დაიცვან სახელმწიფოთა ურთიერთობაში ძალის გამოუყენებლობისა და ძალით დამუქრების გამოუყენებლობის პრინციპი, რომ ყველა სადავო საკითხი წყდებოდეს მხოლოდ მშვიდობიანი საშუალებებით, მოლაპარაკების გზით.

ამის შესაბამისად თათბირზე წარმოდგენილი სოციალისტური სახელმწიფოები მოითხოვენ განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებანი:

— დაიდოს მსოფლიო ხელშეკრულება საერთაშორისო ურთიერთობაში ძალის გამოუყენებლობის შესახებ, რომელიც გაითვალისწინებდა ყველა სახელმწიფოს ვალდებულებას, უარი თქვან ყველა ფორმისა და გამოვლინების ძალის ან ძალით დამუქრების გამოყენებაზე, კერძოდ, ბირთვული იარაღის გამოყენების აკრძალვას;

— ზუსტად განახორციელოს სრულიად ევროპის თათბირის მონაწილე ყველა სახელმწიფომ ის ვალდებულებანი, რომ არ გამოიყენონ ძალა ან ძალით დამუქრება ერთმანეთთან ურთიერთობაში;

— განხორციელდეს წინადადება, რომ სრულიად ევროპის თათბირის მონაწილე ყველა სახელმწიფომ იკისროს ვალდებულება რომ პირველნი არ გამოიყენებენ ბირთვულ იარაღს ერთმანეთის წინააღმდეგ, რომ ნატოს სახელმწიფოებმა და ვარშავის ხელშეკრულების სახელმწიფოებმა არ გააფართოონ ამ ორი კავშირის მონაწილეთა წრე, რომ ევროპაში ორივე მხარის სამხედრო ჯვრთნის მასშტაბი შემოიფარგლოს 50-60 ათასი კაცის დონით, ხოლო სრულიად ევროპის თათბირზე შეთანხმებული ნდობის ღონისძიებანი გავრცელდეს ხმელთაშუა ზღვის რაიონზე;

— უბრთვო სახელმწიფოთა უშიშროების გარანტიების განმტკიცების ღონისძიებანი, მათ შორის უარის თქმა იმ სახელმწიფოთა წინააღმდეგ ბირთვული იარაღის გამოყენებაზე, რომლებსაც არა აქვთ ბირთვული იარაღი და არ არის იგი მათს ტერიტორიაზე, ისევე როგორც უარის თქმა აგრეთვე ბირთვული იარაღის განლაგებაზე იმ სახელმწიფოთა ტერიტორიაზე, სადაც იგი ამჟამად არ არის.

უბირთვო ქვეყნებს, რომლებსაც ბირთვული იარაღი არა აქვთ თავიანთ ტერიტორიაზე, შეუძლიათ მიიღონ იმის გარანტიები, რომ მაგ წინააღმდეგ არ გამოიყენებენ ბირთვულ იარაღს, ისევე, როგორც ძალის ან ძალით დამუქრების გამოუყენებლობის პრინციპის შესაბამისად, არავითარ სხვა იარაღს.

პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირის მონაწილე სახელმწიფოები იმის წინააღმდეგი არიან, რომ გაძლიერონ ჯარები და შეიარაღება სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიებზე. მათ დაადასტურეს თავიანთი თანამიმდევრული პოზიცია, რომ დაიდოს შეთანხმებანი შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების შემცირების შესახებ. რომ განხორციელდეს ახალი ღონისძიებანი საერთაშორისო მასშტაბით სხვის ტერიტორიებზე სამხედრო ბაზების ლიკვიდაციისა და სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიიდან უცხოეთის ჯარების გაყვანისათვის, სხვადასხვა რაიონებში, მათ შორის ევროპაში უბირთვო ზონებისა და მშვიდობის ზონების შექმნისათვის.

თათბირის მონაწილენი ადასტურებენ აგრეთვე, რომ მზად არიან დაშალონ ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია, თუ ამავე დროს დაშლიან ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაციას, და პირველი ღონისძიების სახით — გააუქმონ თავიანთი სამხედრო ორგანიზაციები, სამხედრო საქმიანობის ურთიერთშემცირებით დაწყებული. ეს მტკიცე მშვიდობის მშენებლობის უდიდესი ეტაპი იქნებოდა.

სოციალისტურმა სახელმწიფოებმა კარგად იციან, რომ გამალებული შეიარაღების შეწყვეტისა და განიარაღების საკითხების გადაწყვეტა რთული საქმეა, რომელსაც უდიდესი ღონისძიებანი და მიზანსწრაფული ნებისყოფა სჭირდება. ისინი აღნიშნავენ, რომ სასარგებლო და დიდმნიშვნელოვანი იყო გამალებული შეიარაღების შეწყვეტისა და განიარაღების პრაქტიკული გზების ფართო განხილვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ამასწინანდელ სპეციალურ სესიაზე, რომელმაც მიიღო აგრეთვე გადწყვეტილებანი შესაბამისი მოლაპარაკების მექანიზმის სრულყოფის შესახებ. ახლა საჭიროა პრაქტიკული მუშაობა გაიშალოს სესიაზე მიღებული საბოლოო დოკუმენტის იდეებისა და რეკომენდაციების განსახორციელებლად. კიდევ მეტი საჭირო ღონისძიებანი განხორციელდეს საერთაშორისო მასშტაბით განიარაღებაზე გადასვლისათვის. მთელ ამ საქმეს ძალაუფლ მიანიჭებდა ყველა სახელმწიფოს მონაწილეობით განიარაღების მსოფლიო კონფერენციის უსწრაფესად მოწვევა.

პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირზე წარმოდგენილი სახელმწიფოები თვალისწინებენ, რომ გამალებული შეიარაღების შეწყვეტის საქმეს ჰაკვს ძლიერი მოწინააღმდეგენი, უწინარეს ყოვლისა იმპერიალისტური წრეები, მონოპოლიები, რომლებიც დაინტერესებული არიან განეწყვეტლივ ფართოვდებოდეს იარაღის წარმოება და იზრდებოდეს მისი მარაგი, როგორც მოგების საშუალება და ამავე დროს დამოუკიდებელი ქვეყნებისა და ხალხების დამორჩილების, მათთვის თავიანთი ნება-სურვილის თავსმოხვევის საშუალება. მაგრამ თათბირის მონაწილენი დარწმუნებული არიან, რომ გამალებული შეიარაღების შეწყვეტის მოწინააღმდეგეთა წინააღმდეგობის დაძლევა შეიძლება. თუ ამისათვის დაირაზმებიან და გაერთიანდებიან მშვიდობის შენარჩუნებითა და განმტკიცებით დაინტერესებული თანამედროვეობის მოეელი ძალები.

მათი ამ რწმენის საფუძველი უკვე მიღწეული შედეგებია, რომლებიც იმით გამოიხატა, რომ უკანასკნელი თუთმეტი წლის განმავლობაში შეიქმნა ორსხრივი და მრავალმხრივ ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა სისტემები ზოგიერთი მიმართულების გამალებული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ, ხალხთა საარსებო ინტერესები მოითხოვს, რომ ახლა გაცილებით მეტი გაკეთდეს.

**გამალებული შეიარაღების შეწყვეტის საქმეში გაბედული ნაბიჯი ძვრა შესაძლებელია. ყველაზერი უნდა გიდოკოთ იმისათვის, რომ იგი რეალურად იქცეს.**

## III.

მხარეებისათვის საინტერესო სხვა საერთაშორისო საკითხებზე აზრთა გაზიარების დროს ბუდგარეთის სახალხო რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის დელეგაციებმა საჭიროდ მიიჩნიეს ხაზგასმით აღენიშნათ, რომ საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საფრთხის წყაროს წარმოადგენს აგრეთვე იმპერიალისტური პოლიტიკა, რომელიც მიმართულია იმ ხალხთა წინააღმდეგ, კოლონიურ-რასისტული ჩაგვრისაგან განთავისუფლებისათვის, ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ, დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესისათვის რომ იბრძვიან.

მათ საჭიროდ მიაჩნიათ თქვან უწინარეს ყოვლისა, რომ თუმცა იმპერიალიზმის პოლიტიკა უკანასკნელ ხანს უფრო გაწაფული გახდა, იგი იმავე მიზნებს ისახავს. იმპერიალისტები სულ უფრო ხშირად მიმართავენ ისეთ მეთოდებს, როგორიც არის განთავისუფლებულ სახელმწიფოთა ხალხებს შორის მტრობისა და კონფლიქტების პროვოკაციული გამოწვევა, იარაღისა და დაქირავებულთა ბანდების გაგზავნა თავიანთი დამქაშების დასახმარებლად. იმ ქვეყნების ყოველგვარ სამხედრო დაჯგუფებათა შეკოწიწება, სადაც ხელისუფლების სათავეში პროიმპერიალისტური რეჟიმები არიან. ყოველივე ამის აზრი კი ის არის, რომ განმტკიცონ ან თუნდაც შეინარჩუნონ თავიანთი ბატონობა, თავიანთი პოზიციები აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკის ქვეყნების ეკონომიკასა და პოლიტიკაში. იმპერიალისტურ სახელმწიფოთა გავლენიან წრეებს, საერთაშორისო მონოპოლიებს, როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, ხელი არ აუღიათ არც თავიანთ იმ „კლასიკურ" ხერხებზე, რომ მორჩილებაში ჰყავდეთ მთელი ქვეყნები და ხალხები, — სამხედრო ინტერვენციებზე, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში უხეშ ჩარევაზე, მათი სუვერენული უფლებების ხელყოფაზე.

სოციალისტური სახელმწიფოები გამოდიოდნენ და გამოდიან იმ პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელიც კაცობრიობის ისტორიული განვითარების ობიექტურ მოთხოვნილებებს უპირისპირდება. ისინი ადასტურებენ თავიანთ სოლიდარობას ხალხთა ბრძოლასთან იმპერიალიზმის, კოლონიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ. ბატონობისა და ჩაგვრის ნებისმიერი ფორმების წინააღმდეგ. ისინი კვლავინდებურად დაუჭერენ მხარს ეროვნული განთავისუფლებისათვის მებრძოლ ძალებს და განთავისუფლებული ქვეყნების ხალხებს, რომლებიც ძნელ ბრძოლაში იცავენ თავიანთ დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას, კერძოდ თავიანთ იმ უფლებას, რომ თავისუფლად აირჩიონ საზოგადოებრივი განვითარების გზა, უზრუნველყონ თავიანთი ქვეყნების ტერიტორიული მთლიანობა, მათი დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი. ისინი კვლავ ხაზს უსვამენ თავიანთი ქვეყნების იმ მტკიცე განზრახვას, რომ შემდგომ განვითარონ ყ

# ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დ ე კ ლ ა რ ა ც ი ა

(დასასრული)

თათბირზე წარმოდგენილ სოციალისტურ ქვეყნებს თავიანთ საქმეებში არავითარი ჩარევა არ დაუშვიათ და არც დაუშვებენ. აცხადებენ რა ამას მთელი სიმტკიცით, ისინი ხაზს უსვამენ, რომ ამასთან დაკავშირებითაც ხელმძღვანელობენ საერთაშორისო ურთიერთობის შემდგომი პოზიტიური განვითარებისათვის ზრუნვით, იმისათვის ზრუნვით, რომ აღკვეთონ ამ ურთიერთობის ხელოვნურად გამართულები დაბრკოლებანი.

## V.

პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირის მონაწილეებმა განიხილეს ამ თათბირზე წარმოდგენილ სოციალისტურ ქვეყნებს შორის ყოველმხრივი თანამშრომლობის განმტკიცებისა და განვითარების საკითხები. მათ დიდი კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ 1976 წელს პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის ბუქარესტის თათბირის შემდეგ ეს თანამშრომლობა, რომელსაც საუფლოდ უდევს მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპები, თანასწორუფლებიანობის, დამოუკიდებლობისა და ეროვნული სუვერენიტეტის პატივისცემა, შინაურ საქმეებში ჩაურევლობა, ურთიერთსარგებლობა, ამხანაგური ურთიერთდახმარება და ინტერნაციონალური სოლიდარობა, კიდევ უფრო მასშტაბური და მრავალმხრივი გახდა, მოიცავს რა პოლიტიკური, ეკონომიკური, მეცნიერულ-ტექნიკური, იდეოლოგიური და კულტურული ხაქმიანობის სულ უფრო ფართო დარგებს. თავისი ბუნებით და მიზნებით ეს ურთიერთობანი არ უპირისპირდება ევროპის ან მსოფლიოს სხვა რომელიმე ნაწილის სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობას.

თათბირის მონაწილე სახელმწიფოები აცხადებენ, რომ განუხრელად ესწრაფვიან ერთმანეთთან მრავალმხრივი კავშირურთიერთობის გაფართოებასა და გაუმჯობესებას, ყველასათვის საინტერესო საერთაშორისო პრობლემების გადაჭრაში ურთიერთქმედების გაღრმავებას. მათ გამოთქვეს აგრეთვე თავიანთი სურვილი და ნება კიდევ უფრო გაფართოვონ სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის გამოცდილების გაზიარება, გაამრავლონ კონტაქტები ყველა დონეზე პარტიული და სახელმწიფო ხაზებით, აგრეთვე პროფკავშირულ, ახალგაზრდულ, ქალთა და სხვა მასობრივ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის.

თათბირის მონაწილენი აღნიშნავენ აგრეთვე, რომ დიდი შესაძლებლობანი და რეზერვები არსებობს ურთიერთხელსაყრელი, სოციალისტურ ქვეყნებს შორის სოლიდურ საქმეებზე დაფუძნებული ეკონომიკური ურთიერთობის შემდგომი გაფართოებისა და გაღრმავებისათვის, რომლებსაც ისინი წარმოადგენენ, როგორც რეგიონი, ისე აგრეთვე მრავალმხრივი წესით ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ფარგლებში, ერთობლივად მოწონებული პრინციპების შესაბამისად, თითოეული სოციალისტური ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონეთა გათანაბრების პროცესის, მათი პროცესის დაჩქარების, მათი კეთილდღეობისა და განვითარების დონის ამაღლების ინტერესებისათვის. ისინი აღნიშნავენ ბუქარესტში ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს XXXII სესიის მიერ მოწონებული 1990 წლამდე აქრეოდისათვის მრავალმხრივი თანამშრომლობის მიზნობრივი პროგრამების დიდ მნიშვნელობას, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ ქვეყნების მოთხოვნილების უზრუნველყოფას ხაობრივი, ენერგიული, ნედლეულით, კვების პროდუქტებით, მანქანებით, მოწყობილობითა და მოწონაგე ტექნოლოგიით. ეს პროგრამები ახალი ნაბიჯია ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებასა და გაღრმავებაში. ისინი აფართოებენ შესაძლებლობებს სოციალიზმის, როგორც საზოგადოებრივი სისტემის, უპირატესობათა სულ უფრო სრულად გამოყენებისათვის.

აღინიშნა თათბირზე წარმოდგენილი ქვეყნების ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის წარმატებით განვითარება მეცნიერების, კულტურის, განათლების, ინფორმაციის, რადიოსა და ტელევიზიის, ადამიანთა შორის კონტაქტებისა და ტურიზმის დარგში. დადასტურდა მისწრაფება კვლავაც გაფართოონ თანამშრომლობა ყველა ამ დარგში, გაუმჯობესონ პროპაგანდა ერთმანეთის მიღწევებისა. სოციალისტურ და კომუნისტურ მშენებლობაში, სოციალისტური დემოკრატიის განვითარებისათვის, საზოგადოებრივ პოლიტიკური ცხოვრების ხელმძღვანელობის სრულყოფისა და მშრომელთა ცხოვრების მატერიალური და სულიერი დონის ამაღლებისათვის საქმიანობაში.

თათბირზე ქმაყოფილებით აღინიშნა სოციალისტური ქვეყნების კონსულატთა საერთაშორისო ეკიპაჟების ფრენის მნიშვნელობა, რომლებიც განახორციელებენ მეგობრობას და ნაყოფიერ თანამშრომლობას კაცობრიობის მიერ მშვიდობიანი მიზნებით კოსმოსური სივრცის ათვისების საქმეში. ეს თანამშრომლობა გაგრძელდება.

პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირის მონაწილენი აცხადებენ, რომ მათი ქვეყნების პარტიებსა და მთავრობებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი დღენიადაგ განამტკიცონ მეგობრობა და თანასწორუფლებიანი თანამშრომლობა ერთმანეთს შორის, ყველა სოციალისტურ სახელმწიფოსა და თანამედროვეობის პროგრესულ ძალებს შორის. ისინი დარწმუნებული არიან, რომ თანამედროვე პირობებში, როცა იმპერიალიზმი განაგრძობს ბატონობის, ჩაგვრისა და უთანასწორობის პოლიტიკას, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ახალი ტიპის საერთაშორისო ურთიერთობების დამკვიდრება, სოციალისტური ქვეყნების ერთიანობისა და შეკავშირების განმტკიცება. სწორედ ამ გზაზე ყველაზე წარმატებით არის უზრუნველყოფილი ახალი საზოგადოების მშენებელი თითოეული ხალხის ინტერესები, დღენიადაგ იზრდება სოციალიზმის ავტორიტეტი მსოფლიოში, მაღლდება სოციალისტური ქვეყნების როლი საერთაშორისო ცხოვრების განახლების სტიმულირებაში, დაძაბულობის შენელების გაღრმავებისა და მშვიდობის განმტკიცებაში.

## VI.

პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირზე წარმოდგენილი სახელმწიფოები კვლავ აცხადებენ, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ამრავლონ მეცადინეობა მშვიდობის განმტკიცებისა, უშიშროების უზრუნველყოფის, დაძაბულობის შენელების პროცესის განვითარებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოების საქმეში და ევროპის ყველა სახელმწიფოს, მსოფლიოს ყველა სახელმწიფოსა და ხალხებს მოუწოდებენ:

პირველი. გადაჭრით დაადგნენ მშვიდობის, დაძაბულობის შენელების, საერთაშორისო ურთიერთობაში ძალის გამოყენებისა თუ ძალით დამუქრებაზე უარის თქმის, ყველა ხადავო ხაკითხის მშვიდობიანი მოწესრიგების, აგრესიული ომების უფლო დაგმობის, კაცობრობის ცხოვრებიდან სახელმწიფოთა შორის ომების სრულიად აღმოფხვრის, გამალებული შეიარაღების შეწყვეტის, „ცივი ომის“ ნაშთების საბოლოო ამოძირკვის პოლიტიკას.

ყველა კონტინენტის მილიონობით ადამიანის ოცნება ისეთი მსოფლიოს, სადაც ხომარი კოფლიკტები არ იქნება, უტოპია არ არის. იგი შეიძლება მიღწეული იქნეს და რეალობად იქცეს ყველას საერთო მეცადინეობის შედეგად, ვინც მზად არის მისთვის ბრძოლველადგეს.

მეორე. მიაღწიონ, რომ უახლოეს ხანში გაიმართოს ხუთი ბირთვული სახელმწიფოს — სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის, ჩინეთის მოლაპარაკება, რათა სახელმწიფოთა არსენალებიდან ამოღებულ იქნას ყოველგვარი სახეობის ბირთვული იარაღი და ბირთვული ენერგია მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებით გამოიყენონ.

ადამიანის გენიამ ენერგიის უდიდესი წყარო — ატომური ბირთვის ენერგია იმისთვის კი არ აღმოაჩინა, რომ მისი მეშვეობით ცივილიზაცია მოსპოს. დღეს უმაღლესი სიბრძნე ის კი არ არის, რომ დავაჩქაროთ გამალებული შეიარაღება და გავაღეიროთ ბირთვული კატასტროფის საშიშროება, არამედ ის, რომ კაცობრიობა ვიხსნათ ახალი ომის საფრთხისაგან.

მესამე. მტკიცედ მოითხოვონ, რომ ქვეყნები, რომლებსაც ყველაზე მნიშვნელოვანი სამხედრო და ეკონომიკური პოტენციალი აქვთ, და უწინარეს ყოვლისა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს ხუთი მუდმივი წევრი-სახელმწიფო, რომლებსაც განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებთ საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროებისათვის, დაუყოვნებლივ შეთანხმდნენ გარკვეული პროცენტით ან თანაბარი სიდიდით თავიანთი სამხედრო ბიუჯეტების შემცირების თაობაზე, რაც პირველი ნაბიჯი იქნება უახლოეს სამ წელიწადში.

ხალხები ვერ შეურიგდებიან ყველაზე არამწარმოებლური ხარჯების — სალეტი საშუალებების წარმოების ხარჯების მუდმივად მზარდ ტვირთს. ყველგან მსოფლიოში ადამიანები მოელიან, რომ მეტი სახსრები ხმარდებოდეს მათი ცხოვრების დონის ამაღლებას, ჯანმრთელობის დაცვის განვითარებას, განათლების გაუმჯობესებას, მათი კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. განვითარებადი ქვეყნები სრულიად საფუძვლიანად მოითხოვენ, რომ სამხედრო ხარჯების ნაწილი მაინც მოხმარდეს მათთვის ეკონომიკური და ტექნიკური დახმარების გადიდებას. ეს შესაძლებელია და კიდევაც უნდა გაკეთდეს.

მეოთხე. ამრავლონ სახელმწიფოთა და მთავრობათა მეცადინეობა, რათა რაც შეიძლება მალე დამთავრდეს ახლანდელი მოლაპარაკებანი გამალებული შეიარაღების შეზღუდვისა და შეწყვეტის შესახებ მისი მთავარი მიმართულებებით, გაერთიანონ ყველა სახელმწიფოს მეცადინეობა განიარაღების ღონისძიებათა შეფუშავებასა და განხორციელებაში. აქტიურად მოაკიდონ ხელი იმ იდეებისა და რეკომენდაციების რეალიზაციას, რომლებმაც საყოველთაო მოწონება დაიმსახურა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის განიარაღების სპეციალურ სესიაზე.

დრო არ ითმენს. გამალებული შეიარაღების შეწყვეტის მიმართ აღარ შეიძლება ზისი ანგარიში წლებით და მითუმეტეს აოწლეულებით. მოლაპარაკების მონაწილე სახელმწიფოები მოვალენი არიან გადადგან გაბედული ნაბიჯები, რომლებიც უზრუნველყოფენ მის წარმატებას. ამ წარმატების მიღწევა შესაძლებელია, თუ ყველა მთავრობის პოლიტიკაში ჭეროვნად აისახება ხალხთა ნება.

მეხუთე. გადაჭრით წასწორონ ნაბიჯები დაძაბულობის შენელების საქმე ევროპაში, განაბორციელონ ეფექტიანი ღონისძიებანი, რათა შემცირდეს სამხედრო დაპირისპირების დონე ევროპის კონტინენტზე, ამასთან უზრუნველყოფილი იყოს ევროპის ყველა ხახელმწიფოს თანაბარი უშიშროება. ამას მოვუწოდებთ სრულიად ევროპის თათბირის და ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალების და შეიარაღების შემცირების შესახებ ვენის მოლაპარაკების მონაწილე სახელმწიფოებს.

მეექვსე. უმოკლეს ვადაში მოუღონ ბოლო კოლონიალიზმის უკანასკნელ ნაშთებს, ნეოკოლონიალისტური ექსპლოატაციის პოლიტიკას, რომელიც განუვითარებლობის მავთარი წყარო, ამოძირკვონ ეროვნული და რასობრივი ჩაგვრის ფესვები.

ყველა კონტინენტის ხალხებს აქვთ განუყოფელი უფლება იცხოვრონ მშვიდობის, დამოუკიდებლობისა და თავისუფლების პირობებში, სუვერენულად განაგონ თავიანთი ეროვნული სიმდიდრეები, თავიანთი კეთილდღეობის ზრდის, თავიანთი მოქალაქეების ღირსებისა და ბედნიერების უზრუნველყოფის მაზნით. არავის არა აქვს უფლება ჩაერიოს მათი საშინაო ცხოვრების საკითხებში, რომლებიც თვითონ მათ და მხოლოდ მათ უნდა გადაწყვიტონ. საყოველთაოდ უნდა დაიგმოს და ბოიკოტი გამოეცხადოს როგორც ბრალეულობა და კაცობრიობის მტრებს კოლონიურ და რასისტულ რეჟიმებს აფრიკაში და მსოფლიოს ნებისმიერ სხვა რაიონში.

მეშვიდე. დაბეჯითებით იღვაწონ სამართლიან და დემოკრატიულ საფუძველზე საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების გარდაქმნისათვის, ისეთი ახალი საერთაშორისო ეკონომიკური წყობის დამკვიდრებისათვის, რომელიც უზრუნველყოფს განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური ჩამორჩენის ფარგლებულ ლიკვიდაციას, ყველა ხალხის, მთელი კაცობრიობის დინამიკურ პროგრესს.

მერვე. აქტიურად იმოქმედონ საერთაშორისო ურთიერთობაში თანასწორუფლებიანობის ნორმების მტკიცედ დამკვიდრების, საშინაო საქმეებში ჩაურევლობის, ძალისა და ძალით დამუქრების გამოუყენებლობის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის პატივისცემის, თითოეული ხალხის იმ ხელშეუვალი უფლების ინტერესებისათვის, რომ თვითონ აირჩიოს განვითარების საკუთარი გზა თავიანთი ნებისა და მოსწრაფეების შესაბამისად; სახელმწიფოთა ურთიერთობას საფუძვლად დაუდონ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მიერ მიღებული პრინციპების ზუსტად დაცვა; განუხრელად განახორციელონ მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკა. ამასთან დაკავშირებით თათბირზე წარმოდგენილი სახელმწიფოები კვლავ ადასტურებენ, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი მიიღონან მსოფლიოს ყველა ქვეყანას შორის ფართო თანასწორუფლებიანი ურთიერთობისა და თანამშრომლობის დამყარებასა და განვითარებას.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელით

**ტოდორ ჟივკოვი**

ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელით

**ერიხ ჰონეკერი**

გერმანიის ვრთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელით

**ედვარდ გერეკი**

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი

რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის სახელით

**ნიკოლაე ჩაუშესკუ**

რუმინეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი

პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირზე წარმოდგენილი სახელმწიფოები არ დაიშურებენ ძალ-ღონეს ამ მიზნების მიღწევისათვის, ხალხების სამართლიან მისწრაფებათა ხორცშესასმისათვის ბრძოლაში. ყოველივე ამისათვის ისინი კიდევ უფრო მჭიდროდ ითანამშრომლებენ და ერთად იმოქმედებენ საერთაშორისო ასპარეზზე, ამასთან მთლიანად შეინარჩუნონ რა თითოეული მათგანის სუვერენული უფლებები.

ამავე დროს პოლიტიკური საკონსულტაციო თათბირზე წარმოდგენილ სახელმწიფოებს საჭიროდ მიაჩნიათ ამ ბრძოლის წარმატებისათვის გაერთიანონ ყველა სახელმწიფოს მეცადინეობა მათი საზოგადოებრივი წყობილების, პოლიტიკური სისტემისა და სამხედრო კავშირებში მონაწილეობისა თუ არ მონაწილეობის მიუხედავად. ისინი აპირებენ აქტიურად შეუწყონ ხელი ასეთი თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას მშვიდობიანი თანაარსებობის საფუძველზე და აცხადებენ, რომ მზად არიან შეიტანონ მასში თავიანთი კონსტრუქციული წვლილი.

ისინი მოითხოვენ, რომ ამაღლდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის როლი და ეფექტიანობა, მისი წესდების პრინციპებს შესაბამისად, მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების, დაძაბულობის შენელების გაღრმავების, აქტუალური საერთაშორისო პრობლემების სამართლიანი გადაწყვეტის ინტერესებისათვის, ხელს უწყობენ ხალხთა თავისუფლებისა და პროგრესის საქმეს.

იმპერიალიზმის, კოლონიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, უშიშროებისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების გაღრმავებისათვის, გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის თათბირზე წარმოდგენილი პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირზე წარმოდგენილი სოციალისტური ქვეყნები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მოუმხრობელ სახელმწიფოებთან თანამშრომლობისა და ურთიერთმოქმედების განვითარებას, ნათ მოუმხრობელ სახელმწიფოთა მოძრაობა მიიჩნიეთ საერთაშორისო პოლიტიკის დადებით ფაქტორად, აღნიშნავენ მათ მზარდ როლს მსოფლიო საქმეებში.

თათბირზე წარმოდგენილი ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიები კვლავაც განავითარებენ ნაყოფიერ ამხანაგურ თანამშრომლობას ევროპისა და მთელი მსოფლიოს მომავე პარტიებთან. სოციალისტური ქვეყნები მზად არიან აწარმოონ კონსტრუქციული დიალოგი სოციალისტებთან და სოციალ-დემოკრატებთან, ქრისტიან დემოკრატებთან, რელიგიურ მოღვაწეებთან და ორგანიზაციებთან, ყველა ხაზოგადოებრივ მოძრაობასთან, რომლებიც იდგნიან გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის, ომის საფრთხის აღკვეთისათვის, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, ხალხთა ნდობისა და მეგობრობის განმტკიცებისათვის. ისინი არ დაიშურებენ მეცადინეობას ჩვენი ეპოქის ამ უაღრესად აქტუალური ამოცანების პრაქტიკული გადაწყვეტისათვის.

მიღწეულია შეთანხმება, რომ საგარეო საქმეთა მინისტრების კომიტეტი რამდენიმე ხნის შემდეგ თავის სხდომაზე მდგომარეობის განვითარების გათვალისწინებით განიხილავს დეკლარაციაში დასახული ამოცანების შესრულების შემდგომ ღონისძიებებს და მისი მონაწილენი თავიანთ მთავრობებს მოახსენებენ გაწეული მუშაობის შედეგების შესახებ.

პოლიტიკურმა საკონსულტაციო კომიტეტმა მოისმინა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი, საბჭოთა კავშირის მარშალი ვ. გ. კულიკოვი და ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის გენერალური მდივანი ნ. პ. ფირიუბინი.

პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირზე განიხილეს ევროპის მდგომარეობის განვითარების აქტუალური საკითხები და გაიმართა აზრთა გაზიარება მოლიანად საერთაშორისო მდგომარეობის ზოგიერთ საკითხზე. განხილვაში ცენტრალური ადგილი დაიკავა დაძაბულობის შენელების და განიარაღების პროცესის განვითარებისათვის ბრძოლაში შემდგომმა ღონისძიებებმა.

თათბირის მონაწილეებმა ვითარების თაეიანთი შეფასება, თავიანთი დასკვნები და წინადადებანი ჩამოაყალიბეს ეროსულოვნად მიღებულ ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა დეკლარაციაში. მათ დაუმტკიცეს, რომ საბჭოთა კავშირი, როგორც თათბირის მომწყობი ქვეყანა, გაავრცელებს დეკლარაციას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ოფიციალური დოკუმენტის სახით და მას გააცნობს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის ყველა მონაწილე სახელმწიფოს მთავრობებს.

თაეიანთი ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების ყრილობებზე შემუშავებული პრინციპული კურსის ერგიულმა თათბირის მონაწილეებმა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირზე კვლავ დაადასტურეს, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი განაგრძონ თანამიმდევრული ბრძოლა საყოველთაო მშვიდობისათვის, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, გამალებული შეიარაღების შეწყვეტისა და განიარაღებისათვის, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, ხალხთა ნდობისა და მეგობრობის განმტკიცებისათვის. ისინი არ დაიშურებენ მეცადინეობას ჩვენი ეპოქის ამ უაღრესად აქტუალური ამოცანების პრაქტიკული გადაწყვეტისათვის.

# ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირის

# კ ო მ უ ნ ი კ ე

(დასასრული)

ჩი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე; მ. ა. სუსლოვი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი; ა. ა. გრომიკო — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი; კ. უ. ჩერნენკო — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი; კ. ვ. რუსაკოვი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი; ა. მ. ალექსანდროვი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე; ა. ი. ბლატოვი — სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე;

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისაგან — იანოშ კადარი — უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, დელეგაციის მეთაური; დიორდ ლაზარი — უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე; ანდრაშ დეგენი — უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი; ფრიდ�უ პუია — უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი;

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკისაგან — გუსტავ ჰუსაკი — ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი, დელეგაციის მეთაური; ლუბომირ შტროუგალი — ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი წევრი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე; ვასილ ბილიაკი — ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი; ბოგუსლავ ჰნოუპეკი — ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი, საბჭოთა კავშირის მარშალი ვ. გ. კულიკოვი და ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის გენერალური მდივანი ნ. პ. ფირიუბინი.

პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირზე განიხილეს ევროპის მდგომარეობის განვითარების აქტუალური საკითხები და გაიმართა აზრთა გაზიარება მოლიანად საერთაშორისო მდგომარეობის ზოგიერთ საკითხზე. განხილვაში ცენტრალური ადგილი დაიკავა დაძაბულობის შენელების და განიარაღების პროცესის განვითარებისათვის ბრძოლაში შემდგომმა ღონისძიებებმა.

# ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს დიმიტროვის პრემია გადაეცა

(დასასრული)

დღესაც, და სამუდამოდ სამახსოვრო იქნება თქვენი სიტყვები: „დავიცვათ ჩვენი მიწა-წყალი, გადავცეთ იგი ახალგაზრდა თაობას ისეთივე მდიდარი და მშვენიერი, ბირთვული ომის ხანძრით გადაუბუგავი...“

საბჭოთა ხალხი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო ძირითადი ძალებია, რომლებიც განსაზღვრავენ საერთაშორისო ურთიერთობაში დაძაბულობის შენელების და ქვეყნად სიცოცხლისათვის საბრძოლველ სოციალისტურ სახელმწიფოთა თანამშრომლობის ძლიერებას.

დარწმუნებული ვართ, რომ ბულგარეთის ხალხი, ბულგარეთის ბრძოლა ბიბლიოთეკა დაძლევს იმპერიალიზმს, რომელიც დაძაბულობის გამწვავებისა და გაბალებული შეიარაღების გაძლიერების საშიშ ცდებს მიმართავს. რეაქციონერები და მეფრინველისტები ეერც ამჯერად ჭეარბენენ ისტორიის ჩარხს. იგი, როგორც მოსწრებულად უთხრა გიორგი დიმიტროვმა სასამართლოზე ჰიტლერელ ჯალათებს, „ადამიანებს წაიღო და აღმავლად ტრიალებს ყველა ადამიანის შვიდობისა და ბედნიერების, სოციალიზმისა და კომუნიზმის საეთილდღეოდ.

დიმიტროვის პრემია მშვიდობისა და სოციალური პროგრესისადვის — ეს არის უშიშარი და სპეტაკი რაინდის, იმ კომუნისტის უშრეტი ენერგიის სიმბოლო, რომელიც არასდროს არ იმურებდა ძალღონესა და ენერგიას ეპოქის ყველაზე ამაღლებული იდეალების მისაღწევად. დღეს კომუნისტებსა და სიმართლის, თავისუფლების, მშვიდობის ყველა სხვა მებრძოლი განსაკუთრებით მართებთ ერთობა, რომლისთვისაც გიორგი დიმიტროვი იღვწოდა, მოძმე სოციალისტური ქვეყნების ერთობა, ყველა იმთგანის მისწრაფების, ნებისა და მოქმედების ერთობა, ვინც ნამდვილად გრძნობს პასუხისმგებლობას არა მარტო საკუთარი ერის წინაშე, არამედ მსოფლიოს ყველა ადამიანთა ბედისთვისაც.

გიორგი დიმიტროვმა ბულგარელ კომუნისტებსა და ბულგარელ ხალხს უანდერძა განაკითარონ და გაამდიდრონ ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობა, რომელსაც იგი ყოველი ცოცხალი არსებისათვის ისევე საჭიროდ მიიჩნევდა, როგორც მზესა და ჰაერს. ეს მეგობრობა ჩვენი ისტორიის უძვირფასესი მონაპოვარია.

ჩვენ ყოველთვის მღელვარებით აღვიქვამდით შეფასებებს, რომლებსაც ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი აძლევდა ჩვენი პარტიების, ხალხებისა და სახელმწიფოების ძმურ ურთიერთობას, ორი სოციალისტური ქვეყნის ისტორიული შემოქმედების მაგალითია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ერთობლივი კურსი, რომლის მიზანია ყოველმხრივი თანამშრომლობა და დაახლოება, პოლიტიკური, ეკონომიკური და სულიერი ერთიანობა, ამ კურსს უკვე რამდენიმე წელია ახორციელებენ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი. პრემია, რომელიც უკვდავი გიორგი დიმიტროვის სახელს ატარებს, — გამოხატავს ჩვენს მადლიერებას ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევისადმი ყოველივე ამისათვის, რაც მას გაუკეთებია და აკეთებს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისათვის, ჩვენი ყოველმხრივი დაახლოების კურსის თანამიმდევრული და შემოქმედებითი განხორციელებისათვის.

ბულგარეთის ხალხის საკეთილდღეოდ, სოციალისტური თანამეგობრობის ხალხთა საქმის წარმატებისათვის, მშვიდობისა და სოციალური პროგრესის დასამკვიდრებლად ჩვენი საერთო ბრძოლის სრული გამარჯვებისათვის!

ბულგარეთ!

**შემდეგ გამოვიდა ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი**

# ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლა

ძვირფასო ამხანაგო ქიუკოვ!

დიდ მადლობას მოგახსენებთ იმ კეთილი სიტყვებისათვის, რომლებიც ჩემზე ბრძანეთ, ჩვენი ლენინური პარტიის სქმიანობის მაღალი შეფასებისათვის.

გასაგებია, რომ ახლა, როცა დიმიტროვის საერთაშორისო პრემიას ვიღებ, უწინარეს ყოვლისა ვფიქრობ ადამიანზე, რომლის სახელსაც იგი ატარებს, ვფიქრობ დიდ ბულგარელ მაუოლიშვილზე, რომლისთვისაც საბჭოეთი მეორე სამშობლო გახდა.

გიორგი დიმიტროვის ცხოვრების ღერძი — ეს არის თანამიმდევრული, მგზნებარე ბრძოლა ფაშიზმისა და ომის წინააღმდეგ, ბულგარელი ხალხის ბედნიერებისათვის, კომუნისტური მოძრაობის ერთიანობისათვის, საერთაშორისო მუშათა კლასის გაფთიშვის დაძლევისათვის. გიორგი დიმიტროვის აზრები და საქმენი მკაფიო, შესანიშნავ ფფრცლად შევიდა კომუნიზმის ისტორიაში. რა თქმა უნდა, რევოლუციური პრაქტიკა ნიადაგ ასაზრდოებს რევოლუციურ თეორიას ახალი იდეებით, უფრო მეტიც, რევოლუციური ცვლილებები — ეს მუდამ შემოქმედებაა. მაგრამ იმ ამოცანების გადაწყვეტის თაეიდათავი, რომლებსაც კომუნისტებს უსახავს თანამედროვე ეპოქა, — ისევე როგორც ისტორიული განვითარების წარსული ხანაში, — ეს არის საბრძოლო სოლიდარობა, ერთობლივი მოქმედება.

საბჭოთა და ბულგარელ კომუნისტებს მაღლა უაყრიათ ინტერნაციონალიზმის დროშა. ამ დროშით აყვავდა საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მეგობრობა. ამ დროშაზე, სხვა მომე ქვეყნების მხარდამხარ, ჩვენ ვაშენებთ და ვავითარებთ ყველაზე სამართლიან, ყველაზე კეთილშობილურ ურთიერთობას ხალხთა შორის, ეიდეწუთ მშვიდობის, დემოკრატიისა და პროგრესის იდეალების გამარჯვებისათვის.

და რა თქმა უნდა, ჩემთვის, კომუნისტისათვის, დიდი ბედნიერებაა უშუალო მონაწილეობა, რათა რაც შეიძლება მალე დამთავრდეს ახლანდელი მოლაპარაკებანი გამალებული შეიარაღების შეზღუდვისა და შეწყვეტის შესახებ მისი მთავარი მიმართულებებით, გაერთიანონ ყველა სახელმწიფოს მეცადინეობა განიარაღების ღონისძიებათა შეფუშავებასა და განხორციელებაში. აქტიურად მოაკიდონ ხელი იმ იდეებისა და რეკომენდაციების რეალიზაციას, რომლებმაც საყოველთაო მოწონება დაიმსახურა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის განიარაღების სპეციალურ სესიაზე.

დრო არ ითმენს. გამალებული შეიარაღების შეწყვეტის მიმართ აღარ შეიძლება ზისი ანგარიში წლებით და მითუმეტეს აოწლეულებით. მოლაპარაკების მონაწილე სახელმწიფოები მოვალენი არიან გადადგან გაბედული ნაბიჯები, რომლებიც უზრუნველყოფენ მის წარმატებას. ამ წარმატების მიღწევა შესაძლებელია, თუ ყველა მთავრობის პოლიტიკაში ჭეროვნად აისახება ხალხთა ნება.

მეხუთე. გადაჭრით წასწორონ ნაბიჯები დაძაბულობის შენელების საქმე ევროპაში, განაბორციელონ ეფექტიანი ღონისძიებანი, რათა შემცირდეს სამხედრო დაპირისპირების დონე ევროპის კონტინენტზე, ამასთან უზრუნველყოფილი იყოს ევროპის ყველა სახ

# ეცნობიან საქართველოს

**მეგობრული** შეხვედრები, რომლებსაც საქართველოს მიწაწყალზე უმართავენ სოციალისტური ეთიოპიის დროებითი სამხედრო ადმინისტრაციული საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს პოდპოლკოვნიკ მენგისტუ ჰაილე მარიამს, ერთ-ერთი ნათელი გამოხატულებაა იმ ძმური გრძნობისა, რომლითაც საბჭოთა ადამიანები ეპყრობიან სოციალისტური ეთიოპიის თავისუფლებისმოყვარე ხალხს.

ჩამოსვლის დღეს, 23 ნოემბერს, ამბ. მენგისტუ ჰაილე მარიამი და მისი თანმხლები ეთიოპიის სახელმწიფო მოღვაწენი ეწვევიან თბილისის უნივერსიტეტს. საპატიო სტუმართან ერთად ეყვნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ე. ი. პოლიკოვი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გ. გილაშვილი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ე. ჩერქეზია, თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ბ. თ. ლობჟანიძე.

საბჭოთა კავშირის ამ ერთ-ერთი უძველესი უმაღლესი სასწავლებლის მასწავლებლები და სტუდენტები გულითადად შეხვდნენ მენგისტუ ჰაილე მარიამს. მას მიესალმა უნივერსიტეტის რექტორი პროფესორი დ. ი. ჩხიკვიშვილი.

ქართველი ქალიშვილებისა და ბაბუკების სახელით სტუდენტმა ნ. ახალაძემ წარმატება უსურვა ეთიოპიის ახალგაზრდობას ახალი ცხოვრების მშენებლობაში.

პროფესორმა დ. ი. ჩხიკვიშვილმა წაიკითხა რექტორატისა და სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ მენგისტუ ჰაილე მარიამი დაჯილდოვდეს თბილისის უნივერსიტეტის ფუძემდებლის აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის მედლით.

მიიღო რა საპატიო ჯილდო, მენგისტუ ჰაილე მარიამმა თქვა, რომ მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა უნივერსიტეტმა, ნამდვილმა მეცნიერების ტაძარმა. ეს მედალი, განაცხადა მან, მუდამ მაქვნება, როგორც თქვენი შესანიშნავი უმაღლესი სასწავლებლის სტუმრობის უძვირფასესი სახსოვარი.

მენგისტუ ჰაილე მარიამმა ილაპარაკა თავისი ქვეყნის ახალგაზრდობის წვლილზე რევოლუციის გამარჯვებაში და თქვა, რომ ეთიოპიის ქალიშვილები და ბაბუკები თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობაში ნიადაგ ხელმძღვანელობენ და იხელმძღვანელებენ დიდი ოქტომბრის იდეებით, ლენინის იდეებით, სწავლობენ, იძენენ აღშენებლობის მდიდარ გამოცდილებას საბჭოთა ახალგაზრდობისგან.

საპატიო სტუმარი იყო საქართველოს ხელოვნების მუზეუმში, ეწვია პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეს. (საქინფორმი).

## გაიხსნა შაუმიანის მემორიალი

**სტეფანწმინდა.** (სომხეთის სსრ). სტეფანე შაუმიანის მემორიალი გაიხსნა ქალაქში, რომელიც კომუნისტური პარტიის „გამოჩენილი მოღვაწის, ვ. ი. ლენინის ერთგული თანამებრძოლისა და მოწაფის, გმირული ბაქოს კომუნის ხელმძღვანელის სახელობისაა.

მემორიალის გახსნისადმი მიძღვნილ მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა კ. ს. დემირჭიანმა. (საკდესი).

□

## მიფრინავს „კოსმოს-1049“

**1978 წლის** 21 ნოემბერს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-1049“.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას. (საკდესი).



ეროვნული ბიბლიოთეკა

**დღეს,** ხვალ და ზეგ თბილისში გაიმართება სსრ კავშირის სახალხო არტისტების ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის მხატვრული ხელმძღვანელობით საქართველოს ხალხური ცეკვის ხელმწიფო აკადემიური ანსამბლის გამოსვლები. მაუურებლები ნახავენ განახლებულ პროგრამას.

სურათებზე: ხოლისტი რუსუდან ბერიანიძე; ცენტრში — „ჰარული“; ცეკვა და „ხამაია“; ხოლისტი თემურ ხოზაშვილი.

ა. ხაბაროვის ფოტო.

# საერთაშორისო ცხოვრება

## პორტუგალიის კომპარტიის პოზიცია

**ლისაბონი.** (საკდესი). აქ გაიმართა პორტუგალიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა პორტუგალიის კომუნისტური პარტიის პოზიცია კ. მოტა პინტუს ახალი მთავრობის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით, აგრეთვე ქალაქ ევორში გამართული ვადამდელი მუნიციპალური არჩევნების შედეგები.

პლენუმზე გადაწყდა, რომ რესპუბლიკის კრებაში კამთის დროს პორტუგალიის კომუნისტური პარტიის საპარლამენტო ჯგუფი შეიტანს რეზოლუციას, რომელიც უარყოფს ახალი კაბინეტის პროგრამას. თუ გაეითვალისწინებთ მთავრობის შემადგენლობას და მის მიერ შემუშავებულ პროგრამას, გახაცხადა აქ გამართულ პრესკონფერენციაზე პორტუგალიის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ა. კუნიალმა, ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს, რომ იგი გაიმეორებს წინა კაბინეტების შეცდომებს.

პორტუგალიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გადაიკრიბა დაგმო პორტუგალიის რევოლუციის ერთ-ერთ უდიდეს მონაპოვარზე — აგრარულ რეფორმაზე მზიდი შეტევა. მან სოფლის მეურნეობისა და თევზჭერის სამინისტროს მოქმედება, რომელიც ჩამორთმეულ მიწებს წენინდელ მფლობელებს უბრუნებს, დაახასიათა როგორც „უკანონო და ძალადური“.

## გმობენ შეთქმულებას

**მადრიდი.** (საკდესი). ესპანეთის მთელმა რიგმა პოლიტიკურმა პარტიებმა და პროფკავშირულ ორგანიზაციებმა გამოაქვეყნეს განცხადებანი, რომლებშიც მხარს უჭერენ მთავრობას და გადაჭრით გმობენ პროფრანკისტულად განწყობილ ოფიცერთა ჯგუფის მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლას.

ამგვარი მოქმედება, ნათქვამია ესპანეთის კომუნისტური პარტიის სპეციალურ განცხადებაში, უწინარეს ყოვლისა მიმართულია კონსტიტუციური პროცესისა და დემოკრატიულ თავისუფლებათა აღდგენის წინააღმდეგ. დოკუმენტში ხაზგასმულია, თუ რა საფრთხეს უქმნიან ქვეყანას ულტრამარჯვენე და ულტრამარცხენე დაჯგუფებები, რომლებიც ფაქტიურად ერთიანი ფრონტით გამრდიან.

მემარჯვენეთა ცდა მოეხდინათ სახელმწიფოო გადატრიალება გულისწყრომით დაგმო ესპანეთის სოციალისტურმა მუშათა პარტიამაც.

## ისილავენ სასარგებლო საკითხებს

**ჰავანა.** 22 ნოემბერი. (საკდესი). კუბის დედაქალაქში გაიხსნა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ატომური ენერგიის მშვიდობიანი მიზნით გამოყენების მუდმივი კომისიის მორიგი სხდომა. მის მუშაობაში მონაწილეობენ ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, კუბის, პოლონეთის, რუმინეთის, საბჭოთა კავშირის, ჩეხოსლოვაკიის დელეგაციები, აგრეთვე „ინტერატომენერგოს“ და „ინტერატომინსტრუმენტის“ ორგანიზაციათა წარმომადგენლნი.

## აძლიერებენ რეპრესიებს

**დამასკო.** 23 ნოემბერი. (საკდესი). ისრაელის სამხედრო ხელისუფალნი აძლიერებენ რეპრესიებს პალესტინის არაბი ხალხის წინააღმდეგ. როგორც ცნობილი გახდა, სამხედრო ტრიბუნალებმა 1-დან 10 წლამდე ვადის პატიმრობა მიუსაჯეს ჭალაქების ღიბის, ჯენინისა და რამალაჰის მცხოვრებლებს, ქალაქებისა, რომლებიც ისრაელმა მიერ 1967 წლის აგრესიის დროს მიიტაცეს. ყველა პალესტინის განთავისუფლების მხარდამჭერებულს ბრალად ედება ორგანიზაციის წევრობა.

## ბოლო მოვუღოთ სამარცხვინო სისტემას

**ნიუ-იორკი.** 22 ნოემბერი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პლენარულ სხდომებზე მიმდინარე დისკუსია სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რეჟიმის მიერ აპარტეიდის პოლიტიკის განხორციელების შესახებ იმის დადასტურებაა, რომ მსოფლიოს პროგრესული ძალები იხსრაფვიან ბოლო მოუღონ რასობრივი დისკრიმინაციისა და სეგრეგაციის პოლიტიკას.

შრი ლანკის რესპუბლიკის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ვ. ჯ. ფერნანდომ, რომელიც გამოვიდა მიუმხრობელი ქვეყნების ჯგუფის სახელით გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, განაცხადა, რომ „აპარტეიდის სისტემის თვით არსებობა არა მარტო აფრიკის ხალხების, არამედ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებისა და პრინციპების აბუჩად აგდებაა“.

კოლუმბიის, უნგრეთის, სომალის, სუდანის, რუმინეთის, სირიისა და სხვა სახელმწიფოების წარმომადგენელნი აღნიშნავდნენ, რომ საჭიროა განხორციელდეს უაღრესად გადამწყვეტი და ეფექტიანი საერთაშორისო აქციები, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ აპარტეიდის უსწრაფესად აღმოფხვრის და საერთაშორისო ეთანარების გაჯანსაღებას.

კუბის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში რ. როა კოურიმ თავის გამოსვლაში დაგმო რასისტთა და მათ დასავლელ მფარველთა ნეოკოლონიალისტური კოლონა, რომლებიც ცდილობენ შეინარჩუნონ აპარტეიდის რეჟიმი და დაიცვან თავიანთი პოზიციები აფრიკის კონტინენტის სამხრეთ ნაწილში.

ბულგარეთის დელეგატის დ. კოსტოვის გამოსვლაში სეროიზულ შეფოთვა გაისმა იმასთან დაკავშირებით, რომ სულ უფრო ფართოვდება დასავლეთის სახელმწიფოების, აგრეთვე ისრაელის თანამშრომლობა სამხრეთ აფრიკის რეჟიმთან ბირთვულ დარგში.

## ირანის ამბები

**თეირანი,** 22 ნოემბერი. (საკდესი). **მეჯლისში — ირანის პარლამენტის ქვედა პალატაში — დაიწყო კამთი გენერალ აზჰარის სამხედრო მთავრობის პროგრამის გამო.** ლაჰიჯანის დეპუტატმა ე. ნეხერაზმ გამოსვლისას ხაზგასმით აღნიშნა, რომ ახალგაზდელი ძალგარგბისა და გაფიცვების მთავარი მიზეზი გახდა კორუფცია და ძალაუფლების ბოროტად გამოყენება, რაც უკანასკნელი თხუთმეტი წლის მანძილზე ფეხმოკიდებული იყო სახელმწიფო აპარატში. ახლანდელი ამბების სოციალურ-პოლიტიკური ხასიათი აღნიშნა აგრეთვე თეირანის დეპუტატმა დ. შიოვანმ, რომელმაც თქვა, რომ საჭიროა შეიქმნას „ეროვნული მთავრობა“ ქვეყნის წინაშე მდგომი რთული პრობლემების გადასაჭრელად. ასეთმა მთავრობამ, მისი თქმით, გადამჭრელი ბრძოლა უნდა აწარმოოს უცხოეთისა თუ ადგილობრივი კაპიტალის მიერ მშრომელთა ექსპლუატაციის, ნეოკოლონიალიზმის გამოვლინებების, ყაენგასული სახელმწიფო აპარატის წინააღმდეგ, დემოკრატიული თავისუფლებების, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის დასაცავად.

დეპუტატმა ა. მაზჰარიმ განაცხადა, რომ ირანის ახლანდელ სიძნელეებს ვერ გადაწყვეტენ ძალის გამოყენებისა და სამხედრო მთავრობის შექმნის გზით. მან მოუწოდა ნაციონალიზაცია უყონ კერძო ბანკებს და განახორციელონ ეფექტიანი-ღონისძიებანი კორუფციის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამასთან ხაზი გაუსვა, რომ სამხედრო მთავრობას არ ძალუძს ირანის სოციალური პრობლემების გადაჭრა. როგორც თეირანის რადიო იუწყება, ოპოზიციონერ დეპუტატთა ნაწილმა ხელისუფალთა მოქმედების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად უარი თქვა მონაწილეობა მიეღო კამთში.

**ნიუ-იორკი,** 22 ნოემბერი. (საკდესი). საინფორმაციო საგენტოები იუწყებიან, რომ ირანში კვლავინდებურად დაძაბული პოლიტიკური ვითარებაა. მეშხედში, შირაზში, იეზდსა და სხვა ქალაქებში კვლავ მოხდა მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლები. თეირანის სამხედრო ხელისუფლებამ გამოაცხადეს, რომ ქალაქის ჩრდილოეთ ნაწილში ჯარებმა ცეცხლი დაუშინეს დემონსტრანტებს, რის შედეგადაც ერთი ადამიანი დაიღუპა და 20 დაიჭრა. არმიის ქვეგანაყოფებმა დაიკავეს ყაჰრიარის ელექტროსადგური, რომელიც ირანის დედაქალაქისათვის საჭირო ელექტროენერგიის ნახევარს გამოიმუშავებს. როგორც უკვე ვიუწყებოდთ, გუშინ ელექტროსადგურის მუშაკთა გაფიცვის გამო თეირანის ელექტრომომარაგება შეფერხდა.

**ჯაინინგტონი,** 22 ნოემბერი. (საკდესი). „ჩვენ გადაჭრით გმობთ ირანში ამერიკის ეგრეთებული შტატების სამხედრო ჩარევის გეგმებს“, „ამერიკის შეერთებული შტატების ირანული პოლიტიკის მიზანია დაიცვას იმპერიალისტთა ინტერესები“ — ასეთი ლოზუნგებითა და ტრანსპარანტებით ჩაირა ლოს-ანჯელესში ათასობით მანიფესტანტმა, რომელთა დემონსტრაცია მოაწყო ამერიკის შეერთებულ შტატებში მოსწავლე სტუდენტთა ფედერაციამ. მიტინგზე გამოსვლისას ფედერაციის ხელმძღვანელობის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ირანელმა ხალხმა თვითონ უნდა გადაწყვიტოს თავისი პრობლემები.

ჩიკაგოში ირანის გენერალური საკონსულოს შენობასთან გამართული მასობრივი დემონსტრაციის მონაწილეებმა მოითხოვეს ირანიდან გააძევონ ამერიკელი საზღვრო მრჩეველები და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტები.

## სოფლის სამსახურში

**ზუგდიდი.** სოფლის მშრომელთა უკეთ მოსახურების მიზნით კავშირგაბმულობის რაიონულმა კვანძმა ნარაზენში გახსნა ახალი კვირეულმოუყობილი საფოსტო განყოფილება.

ბ. ალფიბაია.

## კინომოყვარულთა ნახელავი

**ოზი.** (საკ. კორ.). ნაყოფიერ შემოქმედებით საქმიანობას ეწევა ხელოვნების მოყვარულთა ახალგაზრდული კლუბი, რომელსაც საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გ. ჯაფარიძე უდგას სათავეში.

კულტურის ამ დაწესებულებაში სხვადასხვა სექციებია შექმნილი. მათ შორის თავისი საქმიანობით კინომოყვარულთა სექცია გამოირჩევა. მისი წევრები სისტემატურად იკრიბებიან, თათბირობენ, მსჯელობენ, იხილავენ ახალ კინო-ფილმებს, ეუფლებიან კინოხელოვნებას, ამდიდრებენ ცოდნას.

კინომოყვარულებმა რაიონის ცხოვრების მრავალი მოვლენა ასახეს ფირზე. ამას წინათ სარაიონო კულტურის სახლში გაიმართა ამ ფილმების დემონსტრირება. მაყურებელთა მოწონება დაიმსახურა ისეთმა მოკლემეტრაჟიანმა ფილმებმა, როგორიცაა „მაისოვი ონში“, „შეხვედრა უჩა ჯაფარიძესთან“ და სხვ.

ვ. ციბეკიძე.



ნიერსა ნიჭსა თაყვანისმცემლებსა, მეგობრები, სტუდენტები.

მიტინგი შესავალი სიტყვით გახსნა ჭიათურის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ო. გოგატაშვილმა. სოფლის მშრომელთა სახელით მიტინგზე სიტყვით გამოვიდა თეალუეთის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე ვ. ბიწაძე, ცხრუკვეთის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელი ი. წერეთელი. საბჭოთა მეცნიერების წინაშე აკადემიკოს გ. წერეთლის უდიდეს დამსახურებებე ილაპარაკეს აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის თ. გამყრელიძემ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა კ. წერეთელმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერების კათედრის დოცენტმა თ. მარგველაშვილმა, გ. წერეთლის ლამ, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა თ. წერეთელმა, ჭიათურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორმა ნ. ჯაფარიძემ და სხვებმა

ო. გველესიანი.

• • •

სურათზე: გიორგი წერეთლის სახლ-მუზეუმი.

ავგორის ფოტო.

## ... ეროვნული ... ...

**ბ. ... ...** (... ...). ... ... ...